

მეტყვე

მეტყვე არის ტყის მოწყობის, დაცვის და გამოყენების სპეციალისტი. ბევრი მეტყვეს აიგივებს ტყის მცველთან ეს კი ორი განსხვავებული პროფესიაა.

პროფესიის თავისებურებები. ადამიანების უმრავლესობას ერთმანეთში ერევა **ტყის მცველი** და **მეტყვე**; თუმცა მონათესავე, მაგრამ სხვადასხვა პროფესიაა. **მეტყვე** არის ტყის გამგებელი.



იგი პასუხისმგებელია სატყეო მეურნეობის არსებობაზე. **მეტყვეს** არამარტო ტყის ბინადართა დაცვა აინტერესებს, არამედ ეხმარება ტყეს, როგორც ეკოსისტემას. **მეტყვე** პასუხისმგებელია იმაზე, რომ ხეების ჭრამ ტყე არ დააზარალოს, რომ გამოჭრილ და გამომწვარ ადგილზე დროულად ჩაიყაროს ახალი ნერგები, არ გაჩნდეს ხერგილები და ა.შ. იგი ამზადებს თესლებსა და ნერგებს, განსაზღვრავს მათი დარგვის დროსა და ადგილს.

მეტყვესა და მისი დამხმარეების მონდომების წყალობით ცარიელ ადგილას შეიძლება ხელოვნური ახალნაშენი ტყე გაჩნდეს. **მეტყვეები** საზღვრავენ ტყეების მონაკვეთებს, აწარმოებენ ხეების გამოხშირვასა და მიწის ხვნას. ანუ, **მეტყვე** დაკავებულია ტყის მოწყობითა და ეწევა სამეურნეო საქმიანობას. ტყე რომ ჯანმრთელი იყოს, **მეტყვე** თვალს ადევნებს ხეების ავადმყოფობის ნიშნებს, მავნე მწერების გამოჩენას. საჭიროებისამებრ, გეგმავს ხეების სანიტარულ გამოჭრას. ასეთი გამოჭრების დროს იჭრება ავადმყოფი, დაზიანებული და გამომხმარი ხეები, რომელთა განკურნება შეუძლებელია. ხშირად, ავადმყოფი ხე თავად ხდება ინფექციისა და მავნებლების ბუდე. მოჭრილი, ავადმყოფი ხეების და ჯანმრთელი ხეების ერთად გადაზიდვაც კი არ შეიძლება. მაგრამ, ამასთანავე, არ შეიძლება მოჭრილი, გამხმარი, თუ დაზიანებული მორების ხანგრძლივად ტყეში გაჩერებაც. ეს ხანძრის საშიშროებას წარმოქმნის. გამოჭრა, რომ სწორად წარიმართოს, ამისათვის **მეტყვემ** კარგად უნდა იცოდეს მავნებლების ბიოლოგია, რომლებთანაც მოუწევს ბრძოლა. ხეების გამოჭრას ხან ზაფხულში, ხანაც ზამთარში ატარებენ. ასეთ შემთხვევებში ისიც აუცილებლად გასათვალისწინებელია, წამოიზარდა თუ არა მოზარდი ხეების ცვლა. როცა საქმე ეხება ძვირფას ჯიშებს, იშვიათ ეგზემპლარებს, თუ უბრალოდ ხეებს, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა გააჩნიათ, **მეტყვე** ცდილობს, მათ სიცოცხლე გაუხანგრძლივონ. ამისათვის სპეციალურ საშუალებებს იყენებენ და ცდილობენ პრობლემა ადრეულად აღმოაჩინონ. იმისათვის, რომ მუშაობა კარგად წარმართოს, **მეტყვეს** უნდა ჰქონდეს ღრმა ცოდნა, რომელსაც მხოლოდ უმაღლესი განათლება იძლევა. არ შეიძლება იმაზე ფიქრიც კი, რომ **მეტყვე** სატყეო მეურნეობის სტრატეგია და თავისი ხელით არაფერს აკეთებს. მეტყვე კარგად უნდა იცნობდეს თავის ტყეს. ის ყველა პროცესში მონაწილეობს და ამიტომაც მას მხოლოდ რუქა და კალამი კი არა, ბეზინსახერხი და ნიჩაბიც უნდა ეჭიროს ხელში. მეტყვეს შრომის უარყოფითი მხარე ის არის, რომ მხოლოდ შორეულ შედეგებს იძლევა. თუ აგრონომის შრომა რამოდენიმე თვეში იძლევა შედეგს, **მეტყვეს** შრომა ოცი, ორმოცი, ორმოცდაათი და ოთხმოცი წლის მერე იძლევა შედეგს. მაგრამ, ეს პროფესია მაინც უყვართ ადამიანებს, რომელთაც აინტერესებთ მცენარეები, ცხოველები და შრომა ცოცხალ ბუნებაში ურჩევნიათ, ვიდრე ბიოლოგიურ ლაბორატორიებში.

მნიშვნელოვანი თვისებები. მეტყვევის პროფესია არამარტო ტყის სიყვარულს მოითხოვს, მას უნდა ჰქონდეს ეკოლოგის აზროვნება, შრომისმოყვარეობა, მეთოდურობა და ცოდნის ყოველდღიურად მიღების სურვილი, ასევე უნდა იყოს ჯანმრთელი და შეეძლოს ხელით მუშაობა.

ცოდნა და უნარები. მეტყვევმ უნდა იცოდეს ტყის მცენარეების და ცხოველების ბიოლოგია. უნდა ერკვეოდეს ნიადაგში, უნდა იცოდეს მავნებელი მწერებისგან და ხანძრისაგან ტყის დაცვის წესები, უნდა ერკვეოდეს სატყეო მეურნეობის წარმართვის ეკონომიკურ და იურიდიულ საკითხებში.

სამუშაო ადგილი. მეტყვევები მუშაობენ ტყე-პარკების მეურნეობებში, მეტყვეობაში, მონადირეთა მეურნეობაში, ნაკრძალებში, ფირმებში, რომელებიც ქალაქების გამწვანების მიმართულებით მუშაობენ, ეკოლოგიურ სამსახურებში, ხე-ტყის დამამუშავებელ და გადამამუშავებელ საწარმოებში, ექსპედიციებში ტყის მოწყობის მიმართულებით.

განათლება. იმისათვის, რომ მეტყვევე გახდეს, უნდა დაამთავრო უმაღლესი სასწავლებელი სპეციალობით „სატყეო მეურნეობა“ ან „სატყეო საქმე“.